



ჟურნალ „სამი საუნჯის“ რედაქტორს,
ბატონ გრიგოლ რუხაძეს.

აგერ უკვე ორი ათეული წელია ჩვენს განათლების სისტემას საგანმანათლებლო საქმეში გათვითცნობიერებული ხელმძღვანელი არ ღირსებია (საგანმანათლებლო საქმის მცოდნეზე ლაპარაკი ზედმეტია!). ამიტომაც არის, რომ იმდენი და ისეთი რამეები ხდება განათლებაში, რაც საღ აზრს სრულიად მოკლებულია. ყოფილმა ხელისუფლებამ პედაგოგიური აზროვნების ეროვნული ცენტრი — იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ფაქტობრივად გააუქმა, რადგან ოკეანის გაღმიდან გამოგზავნილ მითითება-რეკომენდაციებზე დამოკიდებულ მთავრობას აღარაფერში სჭირდებოდა იგი. განათლების მინისტრის პოსტზე, შემთხვევით, წესიერი პროფესიონალი მუშაკი რომ მოხვედრილიყო, ისიც კი დაუშვებდა მძიმე შეცდომებს, იმიტომ, რომ რჩევას ველარავის ჰკითხავდა, რადგან ქართულ პედაგოგიკაში ჭკუის საკითხავ ხალხს განათლების სამინისტროს კარები ყრუდ ჩაურახეს. განათლების მინისტრის პოსტზე წლების განმავლობაში ისეთი ხალხი „მოღვაწეობდა“ (სანტექნიკოსები და ციხის ზედამხედველები, პოლიციელები და ეკონომისტები), რომლებსაც პროფესიონალი მეცნიერი-პედაგოგების რჩევა „არაფერში სჭირდებოდათ“.

როგორც იქნა ხელისუფლება შეიცვალა. ვიფიქრეთ, გვეშველება და აწი მაინც დაუბრუნდება განათლება ბუნებრივ კალაპოტს-თქო, მაგრამ...

ამას წინათ „მაესტროს“ სატელევიზიო არხზე ორ ცნობილ ტელეწამყვანს, რომლებიც იმითი არიან ცნობილნი, რომ წინადადების დამთავრებას არ აცლიან მოწვეულ რესპოდენტებს, სტუმრად ჰყავდათ განათლების სამინისტროს მაღალჩინოსანი. ამ მაღალჩინოსანმა სამომავლო ამოცანებზე რომ ილაპარაკა, არც წინამორბედთა გაკრი-

ტიკება დავიწყებია და სინანულით აღნიშნა: ხუთი წლის ბავშვი ცოდო არ არის, რომ სკოლაში ვატარებთ და ვასწავლითო. ამის გაგონებაზე იმის იმედიც დავკარგე, რომ ამ ახალ ხელისუფლებას მაინც შევასმენთ რაიმეს. როგორც ჩანს, ესენიც დაარიგა ვიღაცამ, არავის არაფერი ჰკითხოთ, რადგან თქვენ ხართ ყოვლისმცოდნეებიო. არადა იმ მაღალჩინოსანს, სხვისთვის კი არა, მისი ერთი მოადგილისთვის (რომელიც, ალბათ, შემთხვევით მოხვდა იმ პოსტზე!) რომ ეკითხა რჩევები, ვიდრე ტელევიზიით საჯაროდ გამოვიდოდა, იგი უსათუოდ ეტყოდა (იცის და იმიტომ!), ცოდო სკოლაში შეყვანილი ხუთი წლის ბავშვი კი არ არის, არამედ ცოდოა ის საზოგადოება, სადაც სწავლის დაწყების ასაკს ვიღაცა თავისი გუნება-განწყობილების მიხედვით ადგენსო. ის მოადგილე შესაბამისი მეცნიერული ცოდნის მფლობელია და უსათუოდ ასე ეტყოდა!

ახლა, ბატონო გრიგოლ, გადავწყვიტე, მინისტრებისთვის ღია და დახურული წერილების წერას, როგორც სრულიად უსარგებლო საქმიანობას, შევეშვა და საჯაროდ გამოვიტანო ჩვენი განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის ერთგვარი ანალიზი. ღმრთის შეწევნით, ამ ანალიზმა თუ ვინმე სერიოზული დიალოგისათვის განაწყო, ხომ კარგი, თუ არა და მე მეტი ღონე არ მაქვს. ახლა თქვენინებაა, საჭიროდ მიიჩნევთ თუ არა ამ ჩემი ნააზრების გამოქვეყნებას.

პატივისცემით **ზურაბ ცუცქერიძე.**

საქართველოში დაგეგმილი სასკოლო რეფორმის საგელისწერო ორიენტაციები

1. აღზრდის უარყოფა

აბ ბოლო ოთხი ათეული წლის განმავლობაში სასკოლო განათლების სისტემაში ღიდი ზარ-ზეიმით შვიდჯერ დაიწყო რეფორმა და ექვსჯერ უშედეგოდ დამთავრდა. გამონაკლისი ამ ბოლოს განხორციელებული რეფორმაა, რომელსაც თვალსაჩინოდ მძიმე შედეგები მოჰყვა: საფუძვლიანად დაინგრა საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემები.

რა იყო იმ უშედეგობის, ან ამ სამწუხარო შედეგის მიზეზი? ამ

კითხვაზე მარტივადაც შეიძლება პასუხის გაცემა და რთულადაც. მე მარტივ პასუხს ვირჩევ.

წინანდელი რეფორმების წარუმატებლობის მიზეზი ის იყო, რომ მეცნიერ-პედაგოგთა ნოვატორული, რეფორმატორული იდეების განხორციელებას, თუმცა ყველა მიზანშეწონილად მიიჩნევდა, მაგრამ მაშინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემის მკაცრი ჩარჩოების შეცვლა არავის შეეძლო. უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი, განათლების მესვეურთა რეფორმატორული იდეები და ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობის კონსერვატივში ერთმანეთს ვერ უთავსდებოდა. სამწუხაროა, რომ მაშინდელი ჩვენი ქვეყნის სათავეში რეფორმატორები არ იყვნენ.

ამ ბოლოდროინდელი რეფორმის სამწუხარო შედეგის მიზეზი ის არის, რომ სხვათაგან თავსმოხვეული გარდაქმნის მოწადინე იყო ქვეყნის ხელისუფლებაც და განათლების დარგის მესვეურებიც. იმის მიუხედავად, რომ რეფორმის მიმართულება და რეალიზაციის მეთოდები ყოველგვარ საღ აზრს იყო მოკლებული, რასაც სისტემატურად აღნიშნავდნენ ცნობილი სპეციალისტები, მათი აზრი ყურად არავინ იღო. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ ვიღაცას ძალიან სურდა საქართველოს განათლების სისტემა მისი დაბნელების სისტემად გადაქცეულიყო. უნდა ითქვას, რომ ეს ამოცანა, დიდწილად, უკვე მიღწეულია.

ამჯერად იმის ახსნას არ შევუდგებით, ვინ და რატომ მოგვახვია თავს ეს დამანგრეველი რეფორმა, თუმცა ეს ძნელი არ არის. აქ შევეცდები, გავარკვიო რეფორმის ის მცდარი ორიენტირები, რამაც დაგვემიღი შედეგები გამოიღო.

ამჟამინდელი რეფორმის ერთ-ერთი უპირველესი შეცდომა, თუ შეგნებულად ჩადენილი დანაშაულია ის, რომ სკოლას წაართვეს აღმზრდელობითი ფუნქცია. ყველა სარეფორმო დოკუმენტიდან გაქრა ტერმინი „აღზრდა“ და იგი „განვითარებამ“ ჩაანაცვლა. ჩვენი „ჭკუის კოლოფი“ რეფორმატორები ხალხს აბიაბრუებდნენ: ჩვენ დასავლეთის მოდელებს ვნერგავთ და იქ აღზრდის ნაცვლად განვითარებაზეა მიმართული პედაგოგთა ძალისხმევაო.

არა მგონია, ეს სისულელე დასავლელ ექსპერტებს ერჩიათ ამათთვის. უფრო იმაზე მაქვს ეჭვი, რომ ნაცები, თავიანთი ჭკუით, ყველაფერს ებრძოდნენ, რასაც კომუნისტური წარმომავლობისად მიიჩნევდნენ. აგერ, ჩვენს თვალწინ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიდებული შენობის შპილზე, ორი თვის წვალების შემ-

დეგ ჩამოხსნეს ხუთქიმიანი ვარსკვლავი, რომელიც, რა თქმა უნდა, კომუნისტურ (ან რუსულ!) სიმბოლიკად ჩათვალეს. ის კი არ გახსენებიათ, რომ მათი დედობილის, აშშ-ს დროშა სწორედ ხუთქიმიანი ვარსკვლავებით არის გაძეპგილი. ასევე კომუნისტების მოგონილად ჩათვალეს აღზრდის სისტემაც და გააქრეს კიდეც თვალსაწიერიდან.

აღზრდა ათადან-ბაბადან იყო სკოლის უმთავრესი ფუნქცია. სკოლას, ტრადიციულად, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულება ერქვა. სწავლების აღმზრდელობითი შინაარსის მნიშვნელობაზე მსჯელობდნენ ჰედაგოგიკის კორიფეები უხსოვარი დროიდან დღემდე. ა, ბატონო, რას ამბობს გენიალური ქართველი პოეტი და დიდაქტიკოსი დავით გურამიშვილი:

„ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო, ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“.

პირველ ყოვლისა, აღზრდაში ვლინდება სკოლის სოციალური ფუნქცია. აღზრდის გარეშე ადამიანის ნაშიერი ადამიანად, ანუ სოციალურ არსებად ვერ იქცევა: ეს არ იციან ამ „გადმა“ განათლებულმა გვაგებმა? თუ იციან და შეგნებულად უშლიან ხელს ჩვენი მომავალი თაობის გაადამიანებას?!

აღზრდა მიზანმიმართული პროცესი რომ არის, ეს იცის ყველა ბრიყვმაც კი. სახელმწიფოა თუ კერძო პირი, თავისი აღსაზრდელების მიმართ გარკვეული მოთხოვნები აქვთ, ანუ სულ ერთი როდია, ვინ იქნება ჩვენი შთამომავალი. ეს სულაც არ არის მის ინდივიდუალობაზე ძალადობა. პირიქით, ადამიანის სოციალური არსი იმაში ვლინდება, რომ მას გარკვეული სოციალური მოვალეობები აკისრია და პიროვნებაც იმდენად არის, რამდენადაც თავის ფუნქცია-მოვალეობებს ასრულებს.

ნებისმიერ დროში, ნებისმიერი სკოლისა და, საერთოდ, აღზრდის უპირველესი ამოცანა იყო მიკუთვნებულობის შეგნების ჩამოყალიბება მოზარდში. ადამიანი აუცილებლად ვინმეს ან რაიმეს მიაკუთვნებს თავს, სხვაგვარად წარმოუდგენელია. ბავშვი ჯერ დედას, ან იმას, ვინც ზრდის, მიეკუთვნება, შემდეგ მამას, ბებია-ბაბუას, და-ძმებს, ოჯახს, უბანს, ქალაქს, კუთხეს, ერს, სახელმწიფოს, მიკუთვნებულობის უმაღლესი ფორმა კაცობრიობისთვის თავის მიკუთვნებაა. ადამიანი არა მხოლოდ მიაკუთვნებს თავს ვინმეს ან რაიმეს, არამედ მიიკუთვნებს კიდეც მათ. ჯერ არავის სმენია, ვინმეს პირდაპირ კაცობრიობისთვის მიეკუთვნებინოს თავი. ამგვარი მიკუთვნებულობის იერარქიულ კიბეზე აღმასვლა არის პიროვნების

ქმნადობის პროცესი, რაც აღზრდის გზით ხორციელდება მხოლოდ.

ერთი ჩინოვნიკი ამბობდა, მე შეილებს იმას კი არ ვასწავლი, რომ სამშობლოს უნდა შეეწიროს, მთავარია, თავისუფალ ადამიანად გაიზარდოს და თვითონ გადაწყვიტოს, ვის და რას შეეწირებაო. აი, ასეთები ფიქრობენ, რომ, თითქოს, აღზრდის მიზანმიმართული სისტემა საჭირო არ არის. თავისუფლად რომ გაიზარდოს, თავისუფლება მიეცი და უნდა თავის იდეალად აქცევს ბრევიკს, რომელმაც ნორვეგიაში ოთხმოცი უდანაშაულო თანამემამულე ამოხოცა ერთ დღეს და უნდა კორჩაკს, რომელმაც სხვათა შეილებს შეწირა თავი. როგორი ლოგიკაა? ნუთუ მართლა ასე ფიქრობენ ან ის ჩინოვნიკი, ან მისნაირები? არა! ზნეობრივ-პატრიოტული აღზრდის წინააღმდეგაა მათი ქმედება მიმართული, რადგან ზნეობა და სამშობლოს სიყვარული მათ წარსულში ჩარჩენად მიაჩნიათ.

ნორმალურ ადამიანებს იმის ახსნა არ სჭირდებათ, რატომ არის სამშობლოს სიყვარული და ერთგულება ადამიანის უმთავრესი ადამიანური თვისება. იმ ჩინოვნიკისნაირებს შევახსენებ, რომ სამშობლო მხოლოდ ცხოველებს არ აქვთ.

აღზრდა მართო პატრიოტული შეგნების ჩამოყალიბებას კი არ გულისხმობს, იგი აგრეთვე მოიცავს გონებრივი, ფიზიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური და შრომითი აღზრდის სფეროებს. ამ თვისებების გარეშე ადამიანი სრულყოფილი სოციალური არსება ვერ იქნება, მით უმეტეს ახლა, როდესაც პიროვნების ყოველმხრივი განვითარება საზოგადოებრივი ყოფის ობიექტური მოთხოვნაა.

აღზრდის უარყოფილებმა, ალბათ, ვერ გაიგეს, რას ნიშნავს გონებრივი განვითარება და იგი ცოდნის ათვისებასთან გააიგივეს. არადა, ეს ორი სხვადასხვა მოვლენაა: ცოდნის ათვისებაში მეხსიერებაა წამყვანი, გონებრივ განვითარებაში კი ინტელექტუალური უნარების აქტუალიზაცია იგულისხმება. მართალია, ორივე ეს ამოცანა სწავლების პროცესში უნდა განხორციელდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გონებრივი განვითარება აღზრდის ამოცანა არ არის.

ფიზიკური აღზრდის უგულვებლყოფას რაღა მიზეზი აქვს? ჩემი აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ განათლების მესვეურებმა ფიზიკურ აღზრდაში მხოლოდ სპორტი მოიაზრეს და იგი მუსკულატურის განვითარებად წარმოიდგინეს. ამიტომაც იყო, რომ ტერმინი „ფიზკულტურა“ სპორტით ჩაანაცვლეს.

ფიზიკური აღზრდა დამოუკიდებელი სოციალური ცხოვრებისთვის ადამიანის მზაობის ერთ-ერთი აუცილებელი თვისების ჩამოყა-

ლიბებას ისახავს მიზნად. როგორია ეს „აუცილებელი“ ფიზიკური თვისება? ეს არის ადამიანის ფიზიკური განვითარება იმ კონდიციამდე, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ პროფესიული საქმიანობის განხორციელებისათვის. ამავე დროს, ფიზიკურ აღზრდას მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების ფუნქციაც აკისრია.

სწავლების პროცესში, ძირითადად, გონებრივი აქტივობა ვლინდება და ფიზიკური ორგანოების ერთი ნაწილი სრულ უმოქმედობაშია. ფიზიკური აღზრდის პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს მოზარდის ყველა ფიზიკური ორგანოს მოქმედებასა და ჰარმონიულ განვითარებას საერთო ფიზიკური აქტივობის პროცესში.

ზნეობრივი აღზრდის უგულვებელყოფა ნაციონალების იდეოლოგიური პოლიტიკის პირდაპირი შედეგი იყო. მათი ლიბერტანიალური პოლიტიკა ზნეობრიობის არც ერთ ელემენტს არ გულისხმობს. ერთსქესიანთა, ანუ პედარასტების ქორწინება რომ ნორმალურ მოვლენად მიაჩნათ, რომელ ზნეობაზე შეიძლება ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში, ტრადიციულ ზნეობასა თუ საკაცობრიო ღირებულებებთან ლიბერტანიანელობას კავშირი არ აქვს. მომავალში თუ მათი იდეოლოგიის შესაბამისი ზნეობრივი კოდექსი ჩამოყალიბდა, შეიძლება აღზრდის სისტემაც ჩამოაყალიბონ, მაგრამ ეს საეჭვოა, რადგან ისინი „პიროვნების სრული თავისუფლების“ მომხრენი არიან, რაც პრინციპულად გამორიცხავს რაიმე იდეოლოგიის არსებობას.

სინამდვილეში, ზნეობრივი აღზრდა სოციალური მოვლენაა, რომელიც ადამიანის ნაშიერის გადაამიანების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. სიკეთე და ბოროტება, ზნეობრიობის მთავარი საგანი, ცხადია, ობიექტურად არსებობს, მაგრამ იგი სოციალურ შინაარსს სუბიექტის მიერ მხოლოდ მისი გაცნობიერების პროცესში იძენს. მისი გაცნობიერების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ კულტურისა და ცივილიზაციის რომელ საფეხურზეა ადამიანი. მაგალითად, ველურის შეგნებით სიკეთეა, როდესაც მეზობელი ტომის ბელადს ცოლს წაართმევს, ხოლო ბოროტება ის არის, თუ მეზობელი ტომის ბელადი მის ცოლს მოიტაცებს.

ეს შეგნება ცივილიზაციის პროცესში დაძლია ადამიანმა და ჩამოყალიბდა ზნეობრიობის საკაცობრიო ღირებულებები, რომელმაც მკაცრი იდეოლოგიური სენტენციის სახე მიიღო: ზნეობა არის სიკეთის ქმნა, დამკვიდრება და დაცვა. აი, ეს ზნეობრივი სენტენცია წარუვალ მოვალეობას აკისრებს ადამიანს და მისი ღალატი ადამიანურობის ღალატი.

აი, რას მოასწავებს აღზრდის სისტემაზე უარის თქმა.

რაც შეეხება ესთეტიკურ აღზრდას, იგი იმიტომ იყო მიუღებელი განათლების ნაცი მესვეურებისთვის, რომ მათ განზრახული ჰქონდათ ჩვენი საზოგადოების მენტალიტეტის შეცვლა. ესთეტიკური აღზრდა კი მშვენიერების აღქმის ისტორიულ გამოცდილებას ეფუძნება და წარსულის მემკვიდრეობასთან ორგანულად არის დაკავშირებული.

ესთეტიკურ კულტურას პედაგოგიკა განიხილავს, როგორც რთულ კომპლექსურ ცნებას. მისი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტია ესთეტიკური გრძობა, განსაკუთრებული ემოციური მიმართება ხელოვნებაში, ბუნებაში, შრომაში, საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ადამიანთა ქცევაში გამოვლენილი მშვენიერებისადმი.

მეორე, ერთობ მნიშვნელოვანი ელემენტია ცოდნა, რის საფუძველზეც ყალიბდება ესთეტიკური წარმოდგენები, ცნებები, შეხედულებანი, გემოვნება, რაც პიროვნების ესთეტიკურ კულტურას შეადგენს.

ამ ათიოდე წლის წინ სკოლამ საერთოდ თქვა უარი აღზრდის აუცილებელ ელემენტზე — შრომითი აღზრდაზე, რომელიც, რატომღაც, კომუნისტური აღზრდის აუცილებელ ატრიბუტად მიაჩნდათ და თოხისა და ბარის, ჩაქუნისა და ქლიბის გამოყენების დაუფლება ეგონათ. ფიქრობდნენ, შრომის ეს იარაღები ნეტავი ვის რაღაში სჭირდებაო. მათ ვერ წარმოედგინათ, რომ ადამიანის ყოველი მოქმედება, რომელიც შედეგზეა მიმართული, შრომაა. ამიტომ, შრომითი აღზრდის ამოცანა ის კი არ არის, რომელიმე პროფესიას დააუფლოს აღსაზრდელი, არამედ ის, რომ მას გამოუმუშაოს უნარი და დამოკიდებულება საერთოდ შრომისადმი.

შრომითი აღზრდა, ისევე როგორც აღზრდის სხვა მიმართულებები, გარკვეული ეტაპის გავლას მოითხოვს და რომელიმე მათგანის უგულვებლყოფა არაეფექტიანს, ხშირად, უშედეგოს ხდის მას. ამიტომ, შრომითი აღზრდა ზუსტად განსაზღვრულ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ პრინციპებს უნდა დაეფუძნოს.

ბუნებრივია, აღზრდის ცალკეული მხარეების (შემადგენელი ნაწილების) შესახებ ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ ეს უკვე პედაგოგიკის მეცნიერების ამოცანაა და მასზე საუბარს არ ვავაგრძელებთ. დასკვნისათვის კი ვიტყვი, რომ ადამიანი, როგორც სოციალური ფენომენი, მთლიანად აღზრდის შედეგია.

2. უარი თვორიულ დასაბუთებას

ნებისმიერი საქმის კეთებას თავისი წესები აქვს და მათი ცოდნის გარეშე ვერანაირ საქმეს თავს ვერ მოაბამ. აბა, წარმოიდგინეთ, გლეხმა არ იცოდეს, როდის რისი ალოობაა, მოსავალს ვერ მოიწვეს! ვინც არ იცის, იმათთვის განვმარტავ: ალოობა ამა თუ იმ საქმიანობის მიზანშეწონილი და ხელსაყრელი პერიოდია. მაგალითად, ხვნის ალოობა ქართლ-კახეთში მარტ-აპრილშია, ჯავახეთის ზეგანზე უფრო გვიან არის და ა. შ. ვინმემ რომ თქვას (ქართლელმა ან კახელმა!), მარტ-აპრილში საგზური შევიძინე ევროპაში სამოგზაუროდ და წელს ჩემს ზოდაბუნებს მაისის ბოლოს დავხნავო, ის რომ მოსავალს აიღებს, მეტი არ აიღოს ჩვენმა მტერმა.

სკოლა ცოცხალი, განვითარებადი ორგანიზმია და, რა თქმა უნდა, იქ მიმდინარე პროცესები გარკვეული კანონზომიერებით არის განპირობებული. იქაც არის ზუსტად განსაზღვრული ალოობა, რასაც ფსიქოლოგიაში სენზიტიური პერიოდები ეწოდება. ამ პერიოდების უგულვებლყოფა მხოლოდ უცოდინარ კაცებს, ან უსაზღვროდ თავხედებს თუ შეუძლიათ. არადა, საამისო მაგალითები, სამწუხაროდ, თავზე საყრელად გვაქვს. მე ერთ ტიპობრივ მაგალითს დავასახელებ.

თორმეტწლიანმა სასკოლო განათლების შემოდებამ უკმაყოფილება გამოიწვია მთელ საზოგადოებაში. ეს სრულიად გასაგები და ბუნებრივია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ არავის უცდია თორმეტწლიანი სკოლის აუცილებლობის დასაბუთება და მისი ახსნა საზოგადოებისთვის (არც ჰქონდათ საამისო საბუთი) მეორეც, როგორც კი მეთორმეტე კლასმა ფუნქციონირება დაიწყო, ყველამ დაინახა — პედაგოგებმაც და მშობლებმაც, რომ მეთორმეტე კლასს არანაირი ფუნქცია არ ჰქონდა. მაგრამ ახლა სხვა რამეზე ვიტყვი.

საზოგადოება თავის უკმაყოფილებას აშკარად და ხმამაღლა გამოხატავდა. პრესაში ამ თემაზე განსაკუთრებით მწვავედ გამოდიოდა იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ცნობილი პედაგოგი, პროფესორი ლევან ჩიქვანაია. ბატონი ლევანი ინსტიტუტის დირექტორობამდე თბილისის პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორი იყო. მისი დირექტორობისას ამ სკოლაში სწავლობდა საქართველოს მომავალი პრეზიდენტი და მას არაერთგზის საჯაროდ უთქვამს: ჩემი სკოლის ლეგენდარული დირექტორი ლევან

ჩიქვანაია იყო. მე მგონია, სწორედ ლეგენდალური დირექტორის მწვავე პათოსი მისწვდა (თუ მიაწვდინეს) პეზიდენტის ყურს. ჰო, და ერთ-ერთი პიარაქციის დროს, პირველი ექსპერიმენტული სკოლის კოლექტივთან შეხვედრაზე, ხალხის ჭირ-ვარამის „გამზიარებელმა“ პრეზიდენტმა განაცხადა: მე გაგებით ვეკიდები ხალხის უკმაყოფილებას თორმეტწლიან სკოლასთან დაკავშირებით. მართლაც, არ არის კარგი, როდესაც 18-19 წლის ახალგაზრდა სკოლის მერხთან ზის, მაგრამ ამის გამოსწორება მარტივად შეიძლება: ექვსი წლის ნაცვლად სასკოლო სწავლება ხუთი წლის ასაკში დავიწყოთო.

პრეზიდენტს მის მშობლიურ სკოლაში ვიზიტისას თან ახლდა განათლების მაშინდელი მინისტრი დიმიტრი შაშკინი, რომელიც მანამდე ციხეების უფროსად მუშაობდა და პედაგოგიკასა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის პრობლემებში ისე ერკვეოდა, როგორც ბებიანები ჩინური გრამატიკის კანონებში. ამიტომ ციხეების ყოფილ უფროსს ბევრი არ უფიქრია, იმ დღესვე გასცა განკარგულება — აწი სკოლაში ხუთი წლის ბავშვები მივიღოთო. აი, ეს ბავშვები იყვნენ, ასე რომ შეიცოდა ახალი ხელისუფლების განათლების მაღალჩინოსანმა ზემოთ ნახსენებ სატელევიზიო გადაცემაში.

ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ასე მარტივად დგინდება სწავლების დაწყების ასაკი? დიდი ხანია დადგენილია, რომ სწავლება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც ბავშვს ჩამოუყალიბდება სწავლისათვის მზაობა. სწავლისათვის მზაობა რამდენიმე ფსიქოფიზიკური ნიშნით ხასიათდება, რომლის არსებობა-არარსებობა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევით დგინდება. დღესდღეობით დადგენილია, რომ სწავლის დაწყების ასაკი ჩვენს რეგიონში ექვსი წელია. ეს დადგინდა გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს. რასაც წინ უძღოდა სამწლიანი ექსპერიმენტული გამოკვლევები მთელი რესპუბლიკის მასშტაბით. ამათ კი ერთ წუთში გადაწყვიტეს პრობლემა: ერთი წლით ადრე მივიღოთ ბავშვები სკოლაში და ერთი წლით ადრე დაამთავრებენო. ა, ბატონო, ურყევი ლოგიკა!

მეცნიერებასთან დღესაც რომ მწყრალად არ იყვნენ, განათლების დღევანდელ მაღალჩინოსანს სინანული და შეცოდება კი არ უნდა გამოეხატა ხუთი წლის მოსწავლეების მიმართ, თანამდებობის დაკავებისთანავე დაუყოვნებლივ უნდა გაეუქმებინა განათლების „ნაცი“ მინისტრის ვოლუნტარისტული გადაწყვეტილება. ეს არ ქნა იმიტომ, რომ არაპროფესიონალიზმის გამო ვერ ხედავს იმ საფრთხეს, რაც გარდაუვლად არის მოსალოდნელი. დღეს ეს საფრთხე არ

ჩანს, რადგან სასკოლო სწავლების პირველ წლებში მოსწავლემ წარმატებას შეიძლება მხოლოდ მეხსიერების ხარჯზე მიაღწოს. აი, მერე, V-VI კლასებში, როდესაც სასწავლო ამოცანების გადაწყვეტა აბსტრაქტული აზროვნების გარეშე ვერ მოხერხდება, დავინახავთ ბავშვის კოგნიტური განვითარება როგორ არ შეესაბამება მის წინაშე მდგომ აკადემიურ და სოციალურ ამოცანებს. აი, მაშინ კი უსაგნო სინანული ვეღარავის უშველის.

განათლების ბევრი კარდინალური საკითხი გადაწყვიტეს იმ ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა საკუთარი „სადი აზრისა“ და უცხოელთა „მეგობრული რჩევების“ საფუძველზე. ყველას აქ ვერც ჩამოვთვლი და ვერც განვიხილავ. მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევჩერდები.

ყოფილი ხელისუფლება კორუფციასთან ბრძოლას საკუთარი ღირსების საქმედ მიიჩნევდა. როგორ „ებრძოდნენ“ ისინი კორუფციას, დღეს ყველამ იცის, მაგრამ ამგვარი შინაარსის პიარაქციებს კი წარმატებით დგამდნენ. განათლების სისტემაში კორუფცია, ძირითადად, საკადრო პოლიტიკაში ვლინდებოდა და ნაცების ხელისუფლებამ სწორედ აქ „დაარტყა“ კორუფციონერებს: სკოლის დირექტორების არჩევა ლოტოტრონის საშუალებით განახორციელეს. ამასთან, სკოლის დირექტორი შეიძლება ყოფილიყო ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, მუშაობის სტაჟისა და პრაქტიკული გამოცდილების მიუხედავად.

ცივილიზებული კაცობრიობის განათლების მართვისა და ორგანიზაციის თეორია დიდი ხანია მართვის საფუძველად არის მიჩნეული. საინტერესოა, რომელ თეორიაში ამოიკითხეს ამ ჩვენმა ნაცმა განმანათლებლებმა, რომ ოღონდ დირექტორი პროტექციით არ დაინიშნოს და სკოლაში თუდნაც ქვა ქვაზე არ დარჩენილაო. სკოლის ორგანიზაციასა და მართვას აქვს როგორც საყოველთაოდ მიღებული პრინციპები და კანონზომიერებანი, ისე ამა თუ იმ კონკრეტული რეგიონისათვის დამახასიათებელი მოთხოვნები, რაც არსებულ გამოცდილებას, ტრადიციებს, ეთნოფსიქიკასა და ურბანულ თავისებურებებს უკავშირდება. როდესაც ლოტოტრონით სკოლის დირექტორების შერჩევის პრაქტიკა დანერგეს, არავის აუხსნია არც პედაგოგებისთვის და არც ფართო საზოგადოებისთვის, რა თეორიულ საფუძველებს ეყრდნობოდა ეს სიახლე, რა პოზიტიური შედეგები იყო მოსალოდნელი. ვერც აუხსნიდნენ, რადგან ამგვარი კონცეფცია ბუნებაში არ არსებობდა. რითაც დამთავრდა ეს წამოწყება, ყველამ დაინახა.

იგივე ითქმის სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის შემოღებაზეც. მართვის ნებისმიერ ელემენტალურ სახელმძღვანელოში კიდევ უფრო ელემენტალურ საკითხად ითვლება ის, რომ ნებისმიერი თანამდებობის პირს ზუსტად უნდა განესაზღვროს ფუნქცია. უამისოდ სრულიად შეუძლებელია საკადრო კონტინენტის ორგანიზაცია და მართვა. მანდატურის ინსტიტუტის (და კონკრეტული მანდატურის) ფუნქცია კი ხელისუფლებამ უზოგადესი სენტენციით განსაზღვრა: სკოლაში უწესრიგობაა და მანდატურებმა წესრიგი უნდა დაამყარონო. „წესრიგის დამყარება“ სკოლაში ყველას მოვალეობაა, დამლაგებლიდან დირექტორამდე, მაგრამ ამ საერთო წესრიგში ყველას თავისი სეგმენტი აქვს გამოყოფილი. სისუფთავე წესრიგის ერთ-ერთი ელემენტია, რომლის მოწერისიგება დამლაგებელს ევალება, გაკვეთილი, აგრეთვე, სასკოლო წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომლის ორგანიზება პედაგოგის მოვალეობაა და ა. შ. მანდატურს წესრიგის რომელი მხარის უზრუნველყოფა ევალება? ამაზე პასუხი არ ჰქონდათ იმათაც კი, ვინც ეს ინსტიტუტი შემოიღო. დახურული(!) დისკუსია მხოლოდ იმაზე გამართეს, რა რქმეოდა სკოლაში შემოღებული ახალი ინსტიტუტის წარმომადგენლებს და ერთი ნიჭიერი სკოლის დირექტორის წინადადებით „მანდატური“ შეარჩიეს.

მართვის თეორიაში აქსიომად არის მიჩნეული ის, რომ საკადრო სისტემაში ერთი რგოლიც კი თუ არის ისეთი, რომლის ფუნქცია განსაზღვრული არ არის, მაშინ გამორიცხულია რაიმე ადეკვატური გადაწყვეტილების მიღება მთელი სისტემის (დაწესებულების, ჯგუფის, გუნდის და ა. შ.) მიმართ. ამ მხრივ ვერავითარი ვოლუნტარისტური პრინციპულობა პოზიტიურ შედეგს ვერ მოგვიტანს.

მეცნიერების უგულვებელყოფისა და „სალი აზრის“ იმედად ყოფნის სრული უნაყოფობის თვალსაჩინო მაგალითია განათლების კონცეფციის შექმნის ამასწინანდელი მცდელობა საქართველოში.

კონცეფციის გარეშე განათლების სისტემის განვითარებისთვის გარჯა, ოკეანეში კომპასის გარეშე გემის მართვას ემსგავსება. ჩვენ განათლების კონცეფცია არ გვაქვს, ანუ არ ვიცით საით მივდივართ და ვის ვზრდით. ცხადია, კონცეფციის შექმნის გადაწყვეტილება, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ მიიღო, დროული და მისასაღმებელი იყო. ჩვენთვის გაუგებარი გახლდათ ის, თუ ვის დაავალეს განათლების კონცეფციის შექმნა. ოფიციალმა დიდი ზარ-ზეიმით გამოაცხადა, განათლების კონცეფციაზე მუშაობა გაიღვა და მის მცირერიცხოვან ჯგუფს (სამ-ოთხ კაცს, თუ არ ვცდები) დაევალო.

გია დვალის შესახებ გაგონილი გვექონდა, რომ ის არის უაღრესად ნიჭიერი და წარმატებული ფიზიკოსი, რომელიც წარმატებით მოღვაწეობს უცხოეთის ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში, რაშიც, ცხადია, ეჭვი არ შეგვიტანია; დანარჩენებზე, პირადად მე, არაფერი მსმენია. იმის თაობაზე კი, რომ გია დვალსა და კომპანიას განათლების თეორიასა და პრაქტიკაში რაიმე წვლილი ჰქონდეთ შეტანილი, არავინ არაფერი იცის. ნუთუ ჩვენი ხელისუფლების ჩინოსნებს მიაჩნიათ, რომ პროფესიონალური კვალიფიკაცია და კომპეტენცია ქიმერაა? ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ნიჭიერ და წარმატებულ ფიზიკოსსა თუ ქიმიკოსს სპეციალური ცოდნა-განათლების გარეშე ხელეწიფება ასევე წარმატებით ჩამოაყალიბოს შეხედულებათა სისტემა სოფლის მეურნეობისა თუ სპორტის განვითარების შესახებ?

განათლების კონცეფცია ერთობლივად უნდა შეიმუშაონ პედაგოგებმა, ფსიქოლოგებმა, სოციოლოგებმა, იურისტებმა და ეკონომისტებმა, რადგან მის შინაარსს, ორგანიზაციასა და რეალიზაციის მეთოდუკას სწორედ მეცნიერებათა ეს დარგები განსაზღვრავენ.

ღმერთმა დამიფაროს, გია დვალისა და მისი მეგობრების პროფესიონალიზმის შეფასების სურვილისაგან, მაგრამ მათ მიერ ჩამოყალიბებული „განათლების კონცეფციის“ პროექტი(!) რომ სრული აბსურდი იყო, ამას კი ვიტყვი. იმასაც დავამატებ, რომ გონიერმა კაცმა ის საქმე უნდა აკეთოს, რისი ცოდნა-გამოცდილებაც აქვს და არ უნდა ეცადოს მეცნიერება „მე ასე მგონია“-თი ჩაანაცვლოს.

ასევე, მეცნიერული მიდგომების სრული იგნორირების პირობებში განხორციელდა ჩვენში ისეთი რადიკალური გარდაქმნები, როგორიც არის სკოლების ოპტიმიზაცია, ეროვნული გამოცდები, მასწავლებელთათვის კატეგორიების მინიჭება და ა. შ.

მასწავლებელთათვის კატეგორიების მინიჭებაზე ერთი წუთით შევაჩერებ თქვენს ყურადღებას. ერთი შეხედვით, ეს არის სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების აქტი: ვინც მეტი იცის და მეტს და უკეთ მუშაობს, შესაბამის სტატუსსაც იმსახურებს! ეს, ცხადია, ასეა, მაგრამ სკოლის ეფექტიანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია ერთიანი პედაგოგიური მოთხოვნის განხორციელება. როგორ განხორციელდება ერთიანი პედაგოგიური მოთხოვნა იქ, სადაც ერთ საქმეს ემსახურებიან უმაღლესი, პირველი, მეორე და მესამე კატეგორიის მასწავლებლები? მით უმეტეს, ჩვენში! რომელი მშობელი მოინდომებს, რომ მის შვილს მესამე კატეგორიის მასწავლებელი ასწავლიდეს? ჩვენთან

არც ის არის გამორიცხული, რომ მესამე კატეგორიის მასწავლებელი ბევრად უკეთესი იყოს უმაღლესი კატეგორიის მქონეზე. ამას თუ ანგარიშს არ გაუწევ, წარმატებაზე არც უნდა იოცნებო. მეცნიერული თეორიები ვინმეს თავშესაქცევად როდია შექმნილი.

ამას წინათ, განათლების სისტემის ერთი მაღალჩინოსანი ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საკითხს შეეხო. აშკარად ეტყობოდა, რომ „პროფორიენტაციისთვის“ ახლახან მოეკრა ყური და, ამიტომაც, თავს ნება მისცა, ამ რთულ სოციალურ-პედაგოგიურ პრობლემაზე პრიმიტიული მსჯელობა დაეწყო. მას რომ სცოდნოდა, პროფორიენტაციის პრობლემებზე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მთელი ინსტიტუტები მუშაობენ, შექმნილია დიდი რაოდენობის ფუნდამენტური და საინსტრუქციომეთოდოლოგიური ლიტერატურა, მათ შორის ჩვენშიც, მაშინ სხვაგვარ დამოკიდებულებას გამოავლენდა. ახლა კი, სავარაუდოდ, ჩვენი განათლების მესვეურები კიდევ ერთ არაადეკვატურ გადაწყვეტილებას მიიღებენ მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის თაობაზე.

ერთი სიტყვით, ყოფილი ხელისუფლების მიერ დამკვიდრებული განათლების რეფორმის საბედისაწერო კურსი, სამწუხაროდ, ინერციითა თუ შეგნებულად დღესაც გრძელდება. კურსის შეცვლა აუცილებელია! საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს ეს!

3. მოვალეობები უფლებების გარეშე და პირიქით...

ნაცების ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები დემაგოგიის დიდოსტატები იყვნენ (არიან დღესაც!): სიტყვით, თავისუფალი პიროვნების აღზრდას უჭერდნენ მხარს, საქმით, დაშინებულ და გადედლებულ საზოგადოებას ქმნიდნენ. სკოლაში დამყარებული ნაცური წესრიგი ადამიანური ღირსების ამოძირკვისკენ იყო მიმართული.

ითქვა და კვლავ ვიმეორებ: მანდატურის ინსტიტუტის შემოღება სკოლებში, ერთი შეხედვით, ობიექტური ფაქტორებით იყო განპირობებული, მაგრამ იმ შინაარსით, უფლებებითა და ორგანიზაციული ფორმით, როგორითაც ის დაამკვიდრეს, წესრიგის დაცვას კი არა, წესრიგის საფუძვლების მოშლას ისახავდა მიზნად.

სკოლაში წესრიგის საფუძველი არის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენა, რომელიც შეიძლება იყოს ავტორიტარული ან ავტორიტეტული. ავტორიტარული

წესრიგი იძულებასეა დამყარებული, ავტორიტეტული კი თანამშრომლობასე, რომელიც თავისი ბუნებით ლიბერალურ-დემოკრატიულია. რა თქმა უნდა, ავტორიტეტულ ურთიერთდამოკიდებულებას ვამჯობინებთ, მაგრამ ახლა ამაზე არ არის ლაპარაკი. ახლა იმაზე ვამახვილებ თქვენს ყურადღებას, თუ რა გავლენა მოახდინა მანდატურის ინსტიტუტის ფუნქციონირებამ მოსწავლეთა და მასწავლებელთა ურთიერთდამოკიდებულებაზე.

საზოგადოება დადებითად შეხვდა მანდატურის ინსტიტუტის შემოღებას სკოლებში, რადგან მისი უპირობო მოთხოვნა იყო უსაფრთხო სკოლის უზრუნველყოფა. მანდატურს უნდა აღეკვეთა შავი სამყაროს შეუზღუდავი გავლენა სკოლაზე, რაც საშუალებას მისცემდა პედაგოგიურ კოლექტივს, განეხორციელებინა თავისი ბუნებრივი მოვალეობები. მოხდა კი, პირიქით! მანდატურის ემინოდათ არა წესრიგის დამრღვევ და სოციალური განწყობების მქონე მოზარდებს, არამედ მასწავლებლებს, სკოლის დირექტორს და, საერთოდ, სკოლაში დასაქმებულ მთელ მოზრდილ პერსონალს.

შეშინებული პედაგოგი გამოდგება აღმზრდელად და მასწავლებლად? რა უნდა ესწავლებინა შეშინებულ მასწავლებელს, რომელიც სულ იმას ფიქრობდა, კლასიდან ხმა არ გავიდეს და მანდატურმა კარები არ შემოაღოს და არ მკითხოს, რა ხმაურიაო აქ. არადა, ხშირად კითხულობდნენ ამას!

ხმაურს გაკვეთილზე ორი მიზეზი აქვს: მაღალი შემეცნებითი აქტივობა და ზღვარგადასული უწესრიგობა. პირველი სასურველია, მეორე — არა! მაგრამ რა საქმე აქვს, ან ერთთან, ან მეორესთან „უსაფრთხოების“ სამსახურს?

გაკვეთილზე შესვლის უფლება, მასწავლებელთან წინასწარ შეთანხმების გარეშე, არავის აქვს, თვით სკოლის დირექტორსაც კი. ასე იყო ჩვენთან და ასეა, მაგალითად, საფრანგეთში, გერმანიაში და ჩვენი ყოფილი და ახლანდელი ხელისუფლების წარმომადგენელთათვის სანიმუშო ევროპის სხვა სახელმწიფოებში. მასწავლებლობა ყველაზე დიდი თანამდებობაა ამ მზის ქვეშო, იან ამოს კომენსკი ბრძანებდა. მაგრამ ჩვენში, ამ „დიდი თანამდებობის“ პატრონს შაშკინის მანდატურის დანახვაზე შიშით ენა ებმებოდა.

შეშინებულ პედაგოგს აღარც ავტორიტეტი აქვს და აღარც პატივისცემა. ბუნებრივია, იგი ვეღარც ავტორიტარულ მართვას განახორციელებს და ვეღარც მოსწავლეებთან თანამშრომლობას შეძლებს. ასეთ ვითარებაში გზა ეკეტება წესრიგს და გზა ეხსნება

უწესრიგობას.

აი, განათლების რეფორმის ერთ-ერთი საბედისწერო შედეგი, რაც უფლება-მოვალეობათა ობიექტური მთლიანობის უგულებელყოფამ გამოიწვია.

ბევლი რეჟიმის დროს, რომელიც დღეს საყოველთაოდ დაგმობილი და უარყოფილია, იმდროინდელი განათლების სისტემის ერთ-ერთ ნაკლად გადაჭარბებული ქალაქდომანია და ბიუროკრატიული პრაქტიციზმი მიგვაჩნდა. ის, რაც ამ ავადსახსენებელი რეფორმის შედეგად მივიღეთ, ბევრჯერ აჭარბებს იმ ქალაქდომანიასა და ბიუროკრატიულ მოთხოვნებს, რაც ასე დასაგმობად მიგვაჩნდა ამ სამი ათეული წლის წინ.

როგორც ჩანს, ყოფილ ე. წ. განათლების რეფორმატორებს სურდათ ფორმალურ-ბიუროკრატიული „სიახლეების“ მასობრივად დანერგვით შეექმნათ წარმატებული რეფორმის შთაბეჭდილება (როგორც ცნობილია, ქალაქი ყველაფერს იტანს და არც სირცხვილით გაწითლების უნარი აქვს, თუმცა ამ უნარს დღეს ბევრი ჩვენი თანამემამულეც მოკლებულია!).

უმაღლეს სასწავლებლებში გააუქმეს, სამაგიეროდ სკოლებში დაარსეს კათედრები, აირჩიეს (თუ დანიშნეს!) კათედრის გამგეები, სასკოლო-აკადემიური აქტივობების რაციონალური აღრიცხვისა და მონიტორინგის მიზნით შემოიღეს ე. წ. პორტფოლიო, რომლის წარმოებას გვარიანი საგანგებო პროფესიული კვალიფიკაცია სჭირდება. მარტო შეფასების ნიშნების დაჯამების ახალი ტექნოლოგია რად ღირს! ამ და უამრავი სხვა „საქალაქე ღონისძიებების“ შესრულებაზე მასწავლებელს იმაზე მეტი დრო ეხარჯება, ვიდრე იგი გაკვეთილის მომზადებისთვის ხარჯავს. ამგვარი, ფაქტობრივად უსარგებლო მოვალეობების შეუსრულებლობას უსათუოდ მოჰყვება მკაცრი სანქციები ადმინისტრაციის მხრიდან.

ერთხანს ნაცებმა წამოაყენეს დემაგოგიური ლოზუნგი — „საქმე ლაპარაკის ნაცვლად!“ განათლების სისტემაში კი რეფორმამ დაამკვიდრა პრინციპი — „საქმის ამსახველი ინფორმაცია საქმეზე წინ!“ რაც მოგვიტანა საქმის ფორმალურ (თანაც არა საჭირო) მხარეზე ძალისხმევის კონცენტრაციამ, ყველა ხედავს.

დღეს საზოგადოების ცნობიერებაში ამკვიდრებენ მოსაზრებას „მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების“ შესახებ, რასაც სხვაგვარად „შედეგზე ორიენტირებული სწავლების“ ფორმითაც გამოხატავენ. განათლების რეფორმატორების აზრით, სწავლების

პროცესის ეს „ახალი ორიენტაციები“ ახალი პედაგოგიური კონცეფციის რეალიზაციის არსებითი ნიშანია. კი, ბატონო, მაგრამ რა სიახლეა აქ? რეფორმამდელი სწავლება მოსწავლეზე კი არა, მათ მშობლებზე ან ნათესავებზე იყო ორიენტირებული? იქნებ სწავლების სუბიექტი საერთოდ არ არსებობდა და სწავლება რაღაც აბსტრაქტულ სუბსტანციაზე იყო მიმართული? ან სწავლება შედეგზე კი არ იყო ორიენტირებული, არამედ მიზეზზე? აბსურდია ამგვარი მსჯელობა, ხომ? აბა, რისთვის დასჭირდათ ასეთი უაზრო(!) განსაზღვრებების შემოტანა პედაგოგიურ ცნობიერებაში? — იმად, რომ გაეკეთებინათ, მათი აზრით, ერთობ ჰუმანური და ობიექტური დასკვნა — „სწავლების პროცესის მთავარი ფიგურა ბავშვია“. ტრადიციულად მიჩნეული იყო, რომ სწავლების პროცესის მთავარი ფიგურა მასწავლებელია.

ჩვენი ჟურნალის მკითხველთან ბოდიშს ვიხდი, მას იმის ახსნა არ სჭირდება, რაც ახლა უნდა განვმარტო, მაგრამ საქმემ ასე მოიქანა.

სწავლების პროცესი აუცილებლად გულისხმობს ორ ელემენტს — მასწავლებელსა და მოსწავლეს. ერთ-ერთი მათგანის გარეშე სწავლება წარმოდგენილია, ისევე როგორც მედლის არსებობა, ავერსის ან რევერსის გარეშე. ასე, რომ ორივე ელემენტი მთავარია, მაგრამ თუ მაინცდამაინც რომელიმე მთავარ ფიგურად უნდა მივიჩნიოთ, მაშინ მთავარი მაინც მასწავლებელია, რადგან იგია პროცესის ორგანიზატორი და წარმმართველი. სხვა საქმეა, თუ ვიტყვით, ვინ დგას პროცესის ცენტრში, ანუ ვისზეა ორიენტირებული სწავლებაო. რა თქმა უნდა, პროცესის ცენტრში დგას მოსწავლე და მასზეა მიმართული სწავლება. ეს არასოდეს ყოფილა სადავო.

მასწავლებელს, როგორც სასწავლო პროცესის წარმმართველ, მორგანიზებელსა და მარეგულირებელ ფიგურას უმნიშვნელოვანესი მოვალეობები აკისრია. ის არის პასუხისმგებელი სწავლების ორგანიზაციასა და შინაარსზე, სწავლებისა და ცოდნის შეფასების რაციონალური მეთოდის შერჩევასა და გამოყენებაზე, დისციპლინაზე, მოსწავლეებსა და მათ მშობლებთან ურთიერთობების ხარისხზე, აღსაზრდელებთან ინდივიდუალური მიდგომების განხორციელების ეფექტიანობაზე, საკუთარ კვალიფიკაციასა და თვითგანვითარებაზე და ა. შ. ამასთან, მას შეზღუდული აქვს ის უფლებები, რაც ამ მოვალეობების შესრულებას უნდა უზრუნველყოფდეს. კერძოდ, რაზან „რეფორმისტულმა იდეოლოგიამ“ მოსწავლე მიიჩნია სასწავლო პროცესის მთავარ ფიგურად, ამის შესაბამისად

აღიარა მისი უფლებრივი უპირატესობა. მაგალითად, მოსწავლეებს შეუძლიათ საჯაროდ გამოხატონ თავიანთი უკმაყოფილება ამა თუ იმ მასწავლებლის პედაგოგიური საქმიანობის თაობაზე, მოითხოვონ მისი შეცვლა და გათავისუფლებაც კი, მაშინ, როდესაც მასწავლებელს ეკრძალება საჯაროდ იმსჯელოს მოსწავლის აკადემიური წარუმატებლობისა თუ უღისციპლინობის შესახებ. აქედან გამომდინარე, მას არ შეუძლია გამოიყენოს ტრადიციულად აპრობირებული და მეცნიერულ პედაგოგიკაში აღიარებული მოსწავლეებზე ზემოქმედების ისეთი მეთოდები, როგორც არის კოლექტიური ზეგავლენის მეთოდი, პარალელური ზემოქმედების მეთოდები (პარალელური ხაზების სისტემა) და მოსწავლეთა მიერ სოციალური გამოცდილების ათვისების ის ფორმები, რაც კოლექტივში პიროვნების მაღალ სოციალურ აქტივობას უკავშირდება.

სამწუხაროდ, ჩვენმა განათლების „რეფორმატორებმა“ თითქმის დაამკვიდრეს ის აზრი, რომ ყოველგვარი სასჯელი, ბავშვის (მოსწავლის!) მიმართ გამოყენებული, ძალადობად ითვლება, ძალადობა კი დასჯადი ქმედებაა. ამრიგად, მასწავლებელს ჩამოერთვა მოსწავლის დასჯის უფლება, რამაც ბევრი მისი მოვალეობა შესაბამისი უფლებრივი უზრუნველყოფის გარეშე დატოვა.

აღზრდა არ განხორციელდება ან არასრულყოფილად განხორციელდება წახალისებისა და დასჯის მეთოდების გამოყენების გარეშე, დასჯა კი უსათუოდ გულისხმობს რაიმე სახის იძულებას (რა თქმა უნდა, ფიზიკურ დასჯაზე ფიქრიც არ შეიძლება!). როგორც ცნობილია, წახალისება არის სტიმული, რომელიც ხელს უწყობს სოციალურად ღირებული მოქმედებისთვის სუბიექტის აღძვრას, სასჯელი კი შემაკავებელი ფუნქციის მატარებელია და აიძულებს სუბიექტს, თავი შეიკავოს სოციალურად მიუღებელი ქცევის განხორციელებისაგან. ეს კი ხელს უწყობს დადებითი ქცევების განმტკიცებას.

იძულებაზე თუ საერთოდ ავიღებთ ხელს, მაშინ როგორ ჩავუნერგავთ მოზარდს (ბავშვს) თვითიძულების უნარს და ამ უნარის ამოქმედების გარეშე ნებისყოფის განვითარება თუ მოხერხდება? ამაზე პასუხი „რეფორმატორებს“ არ აქვთ, ან თუ აქვთ, მათი პასუხი არამეცნიერული, დილეთანტურია.

ეს პედაგოგიკისა და პედაგოგიური ფსიქოლოგიის პრობლემაა და იგი კარგა ხანია გადაწყვეტილია იმათთვის, ვისაც მიაჩნია, დღეს ნებისმიერ პროფესიულ საქმიანობას მეცნიერული საფუძვლები აქვს. მაგრამ ახლა საკითხავია, ჩვენს განათლების სისტე-

მაში, მისი წარმატებისა თუ წარუმატებლობის მთავარი ფაქტორის — მასწავლებლის უფლება-მოვალეობათა თანაბარზომიერების — პრობლემა ვისი გადასაწყვეტია?

დღეს ჩვენს საზოგადოებაში, „ამ მზის ქვეშ ყველაზე დიდი თანამდებობის“ მქონე, მასწავლებელი ყველაზე უუფლებო, ღირსებააყრილი ადამიანია. მის უფლებებს არ იცავს არც კანონი, არც სახელმწიფო და არც რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია (პედაგოგთა პროფკავშირი, ფაქტობრივად, არც არსებობს!). მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა ნაციონალების დროს და იგი არც ახლაც დღემდე დნელი. მაგალითად, 2011 წელს თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ოცამდე მასწავლებელი ერთდროულად გაათავისუფლა ღირექტორმა (რა თქმა უნდა, ნაციონალთა კადრმა!) ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. არა! თუმცა მან ერთ-ერთ გათავისუფლებულს ასე აუხსნა ეს „საკადრო ღონისძიება“: ვაკანსიები მჭირდება და იმიტომ გათავისუფლებთო. მას უკან დღემდე ჩივიან უკანონოდ თუ „კანონიერად“ გათავისუფლებული პედაგოგები.

სხვათა შორის, ერთი თავისთავად კურიოზული, მაგრამ გაგანია რეფორმის ქვეყნისათვის ერთობ დამახასიათებელი შემთხვევაც მოხდა იმ სკოლაში. ერთ-ერთ გათავისუფლებულს წინა დღით ღირექტორმა ბრძანებით მადლობა გამოუცხადა სანიმუშო მუშაობისთვის. ერთ დღეში „რამ შეუცვალა გუნება“ სკოლის ღირექტორს, ძნელი გამოსაცნობი არ უნდა იყოს.

ასე იცის იმ მდგომარეობამ, როდესაც „რეფორმა“ ერთს მოვალეობებს აკისრებს, მეორეს — უფლებებს ჩუქნის.

საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმის საბედისწერო ორიენტაციებსა და მის საბედისწერო შედეგებზე ბევრის თქმა შეიძლება, მაგრამ მკითხველის დროს დავზოგავ. ამასთან, უმაღლესი სკოლის რეფორმაზე არაფერი მითქვამს, ან რა უნდა მეთქვა, როცა აშკარად ჩანს, როგორ დაამსგავსეს ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი გასულ საუკუნეში აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეთათვის არსებულ სასწავლებლებს — ფეხეობებს (საფაბრიკო-საქარხნო სკოლებს), თუმცა მაშინდელ ფეხეობებში ერთ კონკრეტულ პროფესიას მანაც ასწავლიდნენ.